ნესტან სულავა

მეფის სახისმეტყველებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანში“ მეფე ღვთის ხატად ქმნილი არსებაა, რასაც შოთა რუსთველი ბიბლიურ კონცეფციაზე დამყარებული თვალთახედვით წარმოაჩენს: „მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“ (1).[1] მეფე ბიბლიური სწავლებების კვალობაზე წარმართავს სახელმწიფოს ცხოვრებას. მეფე მუდმივად მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უნდა კითხულობდეს და სწავლობდეს სჯულის წიგნს, რათა დაიცვას მისი ყოველი სიტყვა და მცნება, როგორც მისი და მის მემკვიდრეთა წარმატებული მეფობის ხანგრძლივობის გარანტი. მეფე, როგორც ყოველი ადამიანი, საერთოდ, ყოველი არსი, რუსთველის სიტყვისამებრ, „ღმრთისა დანაბადია“. მეფე სახელმწიფოს სიმბოლოა, მისი ინტერესების დამცველია, მისი პატრონია. სამეფო სკიპტრა და გვირგვინი მან ღვთის ნებით უნდა მიიღოს, რის შემდეგაც შეუძლია წარმართოს თავისი მოღვაწეობა ღვთაებრივი სამართლის კვალობაზე; მისი მოვალეობა ღვთისაგან წინასწარ განგებული და განსაზღვრულია, მას, ქართველ ისტორიკოსთა სიტყვით, ღმერთმა „არწმუნა“ ქვეყანა და ხალხი, ხოლო რუსთველურად, მას „ევალება“ ერის სამსახური, ქვეყნის მსახურების მძიმე ტვირთი. მეფის ღვთივცხებულობა და ზეცით ნაკურთხი სამეფო გვირგვინი სამეფოს/სახელმწიფოს აღორძინების საწინდარია. მეფის მსოფლმხედველობა, ზნეობრივი სახე სახელმწიფოს ხატ-სახეა, იგი მისაბაძია ყოველი მოქალაქისათვის, იგი განსაზღვრავს ერის რაობასა და სულიერ-ზნეობრივ ცხოვრებას. მეფემ ადამიანურ სისუსტეებს უნდა სძლიოს, რათა ერის წინაშე მართლად წარდგეს და ცოდვათაგან განწმენდილმა ღირსეულად მართოს ღვთისაგან რწმუნებული ქვეყანა. მეფე ღვთისაგან რჩეული ის ადამიანია, რომელმაც უნდა

[1] „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი დამოწმებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, I, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებით და ლექსიკონითურთ, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით. თბ., 1966.

დადვას თავი თვისი ღვთისაგან მინდობილი ქვეყნისა და ერისათვის თვისისა. ყოველივე ამის საფუძველი ევანგელური მოძღვრებაა: „მე ვარ მწყემსი კეთილი; მწყემსმან კეთილმან სული თჳსი დადვის ცხოვართათჳს“ (ი. 10, 11). მეფე სახელმწიფოს მთლიანობის, ერთიანობის სახე-სიმბოლოა, საფუძველია, ეროვნული ცნობიერების დვრიტაა, სათავეა, რის გამოც არის იგი შარავანდმოსილი. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, წინაქრისტიანულ სახელმწიფო-სამეფოებში, ბიბლიური დავითიდან მოყოლებული, ისრაელისა და იუდას სამეფოთა ისტორიის კვალობაზე, მეფის ორი ტიპი ჩამოყალიბდა: 1. კეთილი, ქველმოქმედი მეფისა, რომლის პროტოტიპად მოიაზრება ბიბლიური დავით წინასწარმეტყველი, და 2. უკეთური მეფისა, რომელმაც დავითის გზას გადაუხვია (II რჯ. 17,19) (კიკნაძე 2004: 335-337). მეფის ბიბლიური მოდელი, რაც დავით წინასწარმეტყველის პიროვნებაშია განსახოვნებული და რაც ქართულ საისტორიო მწერლობაში ქართველ მეფეთა ხატვის საფუძვლად არის მიჩნეული, გულისხმობს ყოველმხრივ შემკულ, ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებას. ბიბლიური მეფე განსაკუთრებული პიროვნული ღირსებებით გამოირჩეოდა და იგი ქართველ ქრისტიან მეფეთა წინასახედაა მოაზრებული. ბიბლიური წიგნებიდან იმზირებიან ღვთის მიერ ცხებულ მეფეთა მისაბაძი, სიბრძნით აღსავსე სახეები. ბაგრატიონთა მთელ დინასტიას გასდევს დავით წინასწარმეტყველის ჰიპოდიგმური სახე, როგორც ნიმუშისა, ხოლო თვით ამ დინასტიის, მის წარმომადგენელთა სულიერ-ინტელექტუალური გზა წინააღმდეგობებით აღსავსე ურთულეს ცხოვრებაზე გადის; მათი სახელოვანი ბრძოლების, სახელმწიფოებრივი ქმედებების მიღმა მისი (დავით წინასწარმეტყველის) სულიერი აღმასვლა და ღვთიური მადლით განათებული ღვაწლი იხილვება, რასაც ამქვეყნიურ ცხოვრებაში დაშვებულ შეცდომათა და ჩადენილ ცოდვათა მონანიების ღრმა განცდა ახლავს, რაც მისსავე ფსალმუნებშია გაცხადებული და რაც მისაბაძია დავით წინასწარმეტყველის ჩამომავალ მეფეთათვის, საქართველოს სამეფო დინასტიის – ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს ყოველი წარმომადგენლისათვის. ამის ნიმუშებად შეიძლება დასახელდნენ საგალობელთა შემოქმედი მეფეები: დავით აღმაშენებელი, დემეტრე-დამიანე, თამარი, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანებად შერაცხულნი, რომლებიც მეფის ბიბლიურ მოდელში ხედავდნენ თავიანთ სულიერ-სახელმწიფოებრივ მისიას, ღვთაებრივ დანიშნულებას. „ვეფხისტყაოსანში“ მეფის ხატ-სახის გააზრებისას

ბიბლიური და საქართველოს ისტორიის ნიშნით აღბეჭდილი მოდელი იკითხება. ამავე დროს, ძველი მსოფლიოს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის რუსთველის თანამედროვე იმპერიათა სახელმწიფოებრივი წყობის, მათში არსებული წინააღმდეგობების ანარეკლიც შეინიშნება, რაც, ცხადია, მწერლის თანამედროვე ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პოლიტიკურ-იდეოლოგიური ვითარების ღრმა ცოდნას ასახავს. „ვეფხისტყაოსანში“ სახელმწიფოს მოწყობის ორგვარი მოდელია ნაჩვენები, რაც მეფის სახის ზოგად ასპექტში გააზრებას უკავშირდება. მეფის იდეალის რაობა ბიბლიური მოდელის გააზრების, სახელმწიფოებრივი მოწყობის სისტემათა ღრმა ცოდნის, წინარე ლიტერატურულ ტრადიციებში ასახული მეფის სახის გათვალისწინების, ცხოვრებისეული მდიდარი გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბებულია სულხან-საბა ორბელიანის მიერ „სიბრძნე სიცრუისაში“, რომელიც იმ ძირითად მიზანდასახულობასთან ერთად, რაც ამ თხზულებას დააკისრა ავტორმა, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ეპიზოდისა თუ კონტექსტის კომენტარის როლსაც ასრულებს. ესაა მეფის ფუნქციის განსაზღვრა სახელმწიფოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დავიმოწმებ საბასეულ შეხედულებებს მეფის შესახებ, როგორი უნდა იყოს იგი, რომ სახელმწიფოს სწორად მართვა და საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა მოვლა-პატრონობა შეძლოს:

„მეფეთაგან სამნი უყვარან ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა. მეფეთაგან სამს დაიმადლებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.

მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზავთსა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვესა მოუკლებელსა.

მეფეთაგან სამს იქენებენ დიდებულნი: სიტკბოსა წესიერსა, ნადიმსა ამოსა და ჭირში – ჭირსა და ლხინში – ლხინსა.

მეფეთაგან სამს ნდომობენ მხედარნი: ცხენთა მალსა, საჭურველსა მაგარსა და დანახვასა ნამსახურისასა.

მეფეთაგან სამს იღვწიან გლახაკნი: კარსა ღიასა, თხოვისა ბოძებასა და სიხარულით წარვლენასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ მონანი: სავსესა ტაბლასა, ჯამაგირთა მოუკლებლობასა და მალე შეუბეზღებლობასა.

მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურის მიპყრობასა, სიტყვის გაგონებასა და რჩევის დაჯერებასა.

მეფეთაგან სამს ინებებენ მოჩივარნი: საჩივრის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა.

მეფეთაგან სამს ინატრებენ ვაჭარნი: თვალთა და ლალთა ცნობასა, ღირებულის მიცემასა და უფასურად ვაჭრობასა.

მეფეთაგან სამს ევედრებიან მოგზაურნი: მეკობრეთაგან მორჩენასა, ზვერის წესად აღებასა, ფუნდუკთა უშუღართა დგომასა.

მეფეთაგან სამს იხვეწებიან შესმენილნი: მობეზღრისა წაყენებასა, ურისხველად ბრძანებასა და მართლებასა თავისასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ პატიმარნი: შეცოდებისა შენდობასა, რისხვის წყალობად შეცვლასა და ხილვასა პირისა მისისასა.

ესე არს წესი მეფეთა, ესე არს საბოძვარი თემთა, ესე არს გოდოლი სპათა, ესე არს ზრუდე ქალაქთა! რომელმან ჰყოს, იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1959: 41-42). სამეფო ქცევათა და მოქმედებათა სულხან-საბასეული კოდექსი ბიბლიურ ზნეობრივ სწავლებებს ემყარება, იგი ყოველი დროისათვის შესაფერისია. „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა... მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1959: 30). ესაა „საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი“ კოდექსი მეფეთა და ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათა, რომელსაც ეფუძნება სამართლიანი, ჰარმონიული სახელმწიფოს მართვისა და არსებობის წესი და რიგი[2].

შოთა რუსთველის პოემის მოქმედება ძირითადად ორი სახელმწიფოს – ინდოეთისა და არაბეთის სივრცულ არეალში მიმდინარეობს. თითოეულს თავისი მხატვრული ფუნქცია აქვს, რაც კონცეპტუალურია შოთა რუსთველისათვის. ორივე სამეფოში ტახტს ხანდაზმული მეფე ფლობს, ორივეს ერთადერთი ასული ჰყავს, ორივეს ერთნაირი პრობლემა აქვს გადასაჭრელი, მაგრამ განსხვავებულია მათი დამოკიდებულება ტახტის მემკვიდრისადმი[3].

---

[2] ქართული რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“ ასახულია ორი ტიპის მეფის სახე ბიბლიური, ისტორიული და ლიტერატურული რეალიების გათვალისწინებით (ინგოროყვა 1968: 15-17; სულავა 2006: 60-65).

[3] სამეფო ოჯახებისა და ტახტის მემკვიდრეების პრობლემის ასახვის თვალსაზრისით მეტად საინტერესო პარალელები იკვეთება, ერთი მხრივ, „ვეფხისტყაოსანსა“ და, მეორე მხრივ, „სიბრძნე ბალაჰვარისას“ და სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ შორის.

მამისა და ასულის ურთიერთობის მოდელი ძველთაძველია – იგი მითოსიდან და ბიბლიიდან მომდინარეობს. ამ თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანი“ ერთდროულად არეკლავს მითოსურ, ზღაპრულ, რელიგიურ და ლიტერატურულ ტრადიციებს; მითოსში იგი ორი მოდელის მიხედვით წარიმართება:

1. მეფე თავად თანხმდება ასულის გამეფებას და სასიძოსაც თავად არჩევს, მას სახელმწიფოს შიგნით პოულობს, სამეფო ძალაუფლებასაც თავად გადასცემს ასულსა და სასიძოს;

2. მეფე თავის ასულს მემკვიდრედ მიიჩნევს, მაგრამ მას არ ამეფებს, ასულის გათხოვებაზე ზრუნავს და სასიძოს სახელმწიფოს გარეთ ეძებს; იგი ვერ ეგუება ასულის გამეფებას, რადგან ამით ძალაუფლებას კარგავს; ძალაუფლებას ასულის გათხოვებითაც კარგავს, ვინაიდან სასიძო მისი სახელმწიფოს პოტენციური მფლობელია. ამიტომაც უმძიმს გადაწყვეტილების მიღება. ასეთ შემთხვევაში კონფლიქტი მეფესა და სასიძოს შორის, აგრეთვე, ღალატი ასულის მხრიდან, გარდუვალია, რაც სახელმწიფოს შიგნით არეულობის საფუძველი ხდება.

მითოსშივეა ასახული მემკვიდრეობის კიდევ ერთი ვერსია, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება მეფის ძმისა და მეფის შვილის სახელმწიფოებრივი და მემკვიდრეობითი ინტერესები. ამ მოდელთა გათვალისწინებაც გვმართებს „ვეფხისტყაოსანში“ ასახული სამეფო დინასტიების მდგომარეობისა და მეფეთა გადაწყვეტილებების გაანალიზებისას, რადგან პოემაში ორივე მოდელი ირეკლება, თუმცა საბოლოო შედეგი მათგან განსხვავებულია.

არაბეთში თაობა იცვლება, ღმრთისაგან სვიანმა, მორჭმულმა და განგებიანმა არაბთა მეფემ, როსტევანმა, თავისი ერთადერთი ასული გაამეფა. მის პიროვნულ ღირსებებს, მეფისათვის აუცილებელ თვისებებსა და ღირსებებს მამაც და ვაზირებიც ერთხმად აღიარებენ. სამეფოში აღმოჩნდა ღირსეული რაინდი ავთანდილი, „სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა“, რომელსაც როსტევანისაგან „ესწავლნეს სამამაცონი ზნენია“, რაც სამხედრო და სავაჟკაცო თვისებებს გულისხმობს. ეს ნადირობისას გამომჟღავნდა კიდეც. მაგრამ სამამაცო ზნეთა ფლობა არაა საკმარისი პირობა სამეფოს სრულყოფილებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ არაბეთში ყველაფერი წესისამებრ მიემართება და ჰარმონიულობა სუფევს. არაბეთში მამისერთა ასულის გამეფება ღვთის ნებით ხდება; მამამ, როსტევანმა, მეფედ დალოცა თავისი

ძე//ასული თინათინი, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ მშვიდობიანი დინასტიური ყოფა უნდა გაგრძელდეს. ამას ადასტურებს „ვეფხისტყაოსანში“ ლექსიკური ერთეულის – „ძე“ – მემკვიდრის სინონიმად გამოყენება. პოემაში ასულიც, ვითარცა სამეფო ტახტის მემკვიდრე, ძედ მოიხსენიება.

ბიბლიური სწავლებით, მეფე მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა იცავდეს და ასრულებდეს უფლის სიტყვას და რჯულის წიგნს, რაც მისი და მის მემკვიდრეთა მეფობის ხანგრძლივობისა და სვიანობის გარანტად ისახება. ამიტომაც შეიძინა მეფობამ ესქატოლოგიური და მესიანური დატვირთვა. მოსეს სჯულის წიგნის ჩამოყალიბებისას ბიბლიის პირველ წიგნებში არ იყო გათვალისწინებული გამეფებისა და მემკვიდრეობის გადაცემის ყველა შესაძლო შემთხვევა, შესწორებები შევიდა რიცხვთა და მეორე სჯულის წიგნებში. ბიბლიური სწავლებით, როდესაც საგვარეულოში მამას მხოლოდ ასული ან ასულები ჰყავდა, მემკვიდრეებად სწორედ ისინი უნდა ყოფილიყვნენ მიჩნეულნი. რიცხვთა წიგნში მოთხრობილია ცელაფხადის ასულთა იგავი (რიცხვ. 27,1-11), რომლის მიხედვით ასულები მოითხოვენ მამისეული სამკვიდროს გადაცემას, როგორც ეს მემკვიდრე ვაჟებს ეკუთვნით; მათ იკისრეს მემკვიდრე ვაჟების მისია, რათა მამას სახელი და ხსოვნა გაუგრძელონ. ამგვარი შემთხვევა მოსეს სჯულში თავიდანვე გათვალისწინებული არ ყოფილა; ამიტომ მოსეს კითხვას, როგორ უნდა მოიქცნენ მაშინ, როცა საგვარეულოში მამას მხოლოდ ასულები ჰყავს, უფალი მემკვიდრედ ასულებს მიიჩნევს. საგვარეულოს უძეო მამის სამკვიდრო ადრე, მოსეს მიერ პირველი სჯულის კანონის მიღების დროს, მამის ძმებზე გადადიოდა, ქალიშვილები მემკვიდრეებად არ მიიჩნეოდნენ. ცელაფხადის ქალიშვილებმა დასვეს კითხვა, თუ ვინ უნდა ინახავდეს მამის სახელსა და ხსოვნას: უძეო მამის ღვიძლი ასულები თუ მამის ძმები? უფალმა ასულებს მიანიჭა უპირატესობა. ამ პრობლემის განხილვამ მოამზადა ახალი სჯულის საფუძველი, რომელსაც ბიბლიაში მეორე სჯულის წიგნი ეწოდა. რიცხვთა წიგნში უკვე შევიდა ცვლილებები და დაწესდა, დაკანონდა, რომ უძეო მამის ასულები მამის მემკვიდრეობის უფლებას მიიღებენ, ოღონდ თავიანთ საგვარეულოებში უნდა გათხოვდნენ, რათა მამის სამკვიდრო, ქონება სხვა საგვარეულოს არ გადაეცეს. მართლაც, ცელაფხადის ასულები თავიანთ ბიძაშვილებს მისთხოვდნენ, რის შედეგადაც მათი სამკვიდრო სხვა შტოში არ გადასულა (რიცხვ. 36,

6-7); ასე გახდა შესაძლებელი ასულთა ინტერესების დაცვაც და შტოს, საგვარეულოს მთლიანობის შენარჩუნებაც.

ამ ბიბლიური სიბრძნის კვალი იკითხება „ვეფხისტყაოსანში“ ინდოეთისა და არაბეთის სამეფოთა მაგალითზე. როსტევანი თავის ქვეყანაში პოულობს სასიძოს, მიუხედავად იმისა, რომ ავთანდილი სამეფო საგვარეულოს არ ეკუთვნის; ამას ნადირობის შედეგით არაბთა მეფის კმაყოფილება მოწმობს: „უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა“ (83/82); ამასვე გამოხატავს ავთანდილის გაპარვის ამბის გაგებისას როსტევანის ნათქვამი სიტყვები: „ან უშენოდ, გლახ, რა ვუყო საჯდომსა და სრასა სრულსა“ (825/23); ნაწარმოების დასასრულს კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ამ სიბრძნის რეალური განხორციელება არაბეთის სამეფოში. ინდოეთში ეს ბიბლიური სიბრძნე არაა გათვალსიწინებული, იგი უგულებელყოფილია და საჭიროა მისი აღდგენა ან მოპოვება, რისთვისაც იბრძვის ახალი თაობა – ნესტან-დარეჯანი და ტარიელი.

არაბეთისაგან განსხვავებით, ინდოეთში, ძველი ტრადიციების ქვეყანაში, ბევრი რამ მოსაწესრიგებელია, შესაცვლელია, გასაახლებელია, რაც მთავარია, საღვთო სიბრძნის კვალობაზეა მოსაწყობი. ფარსადანი, გაერთიანებული ინდოეთის მეფე, იმპერატორისათვის დამახასიათებელი ნიშნებითაა წარმოდგენილი, რაც იმთავითვე მიუთითებს მისი პოლიტიკური თვალთახედვის ძველ ტრადიციათა კვალზე სვლას და მის ამოვარდნას სამყაროს განვითარების კანონზომიერებიდან. ამდენად, „ვეფხისტყაოსანში“ ორი განსხვავებული ტიპის სამეფოა ასახული.

„ვეფხისტყაოსანში“, მეფის ინსტიტუტის ასახვის თვალსაზრისით, ძირითადად სამი მეფე იქცევს ყურადღებას: როსტევანი, ფარსადანი და სარიდანი. მეფის იდეალური სახე როსტევანის დახასიათებაშია გაცხადებული:

„იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი“ (33/32).

როსტევანის დახასიათებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეფის შესახებ ნათქვამი – „განგებიანი“, რომელსაც ძალზე სპეციფიკური მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი საღვთისმეტყველო ტერმინია და განგების ცნებას უკავშირდება. ამ ეპითეტით როსტევანის

ის თვისებაა აღნიშნული, რომელიც მას ღვთის ნების, განგების გამომცნობად და მიმდევრად წარმოგვიჩენს. ამაში იგულისხმება ის, რომ არაბეთში ყველაფერი, კერძოდ, სამეფო ტახტის მემკვიდრისათვის გადაცემა წესისამებრ მიემართება. თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ როსტევანში მაინც არის იმპერატორის ტიპისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ არც ისაა იმთავითვე იდეალურად წარმოსახული. მასში ჯერ კიდევ დასტურდება „კულტურული თუ სტრუქტურული ძალადობის" გამომხატველი ფაქტორები, რისთვისაც შეიძლება დავიმოწმოთ მეფესთან უცხო მოყმის მისაგვრელად 12 მონის მიგზავნა. მაგრამ, ამავე დროს, პოემის დასაწყისში როსტევანი იმგვარ მეფედაა დასახული, რომელშიც მეფის იდეალისათვის საჭირო თვისებები მოცემულია, ოღონდ იდეალად ჩამოყალიბებას დრო სჭირდება. გასათვალისწინებელია თვით იდეალურის ცნების შინა-არსი, რადგან იგი დროთა განმავლობაში ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად იცვლება, იცვლება ლიტერატურული ტრადიციები, მოთხოვნები, პრინციპები, შეფასების კრიტერიუმები, რის გამოც იდეალურისადმი დამოკიდებულებაც ტრანსფორმაციას განიცდის. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟთა იდეალურობის პრობლემაც იმ ლიტერატურულ მოთხოვნებსა და სპეციფიკას უნდა ითვალისწინებდეს, რომელიც XII საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრებისათვის იყო დამახასიათებელი; აგრეთვე, საჭიროა მსოფლიო ლიტერატურულ მოთხოვნათა გათვალისწინებაც, რადგან ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის ნაწილია. ამიტომ პოემის დასასრულს მას უკვე ვხედავთ ღვთაებრივი სიბრძნით განსრულებულსა და აღჭურვილს, რასაც მისი, როგორც შემფასებლის, ფუნქცია ადასტურებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არაბეთიდან იწყება „პოლიტიკური აზრის არისტოკრატიზაცია" (ი. ს. ჩიჩუროვი), რასაც სულიერად და ინტელექტუალურად მომზადებული საზოგადოება სჭირდება და რის მოთავედ, საფუძვლის დამდებად ახალგამეფებული თინათინი გვევლინება.

ფარსადან მეფის დახასიათება, ცხადია, განსხვავებულია როსტევანისაგან და ეს კარგად ჩანს ტარიელისეულ წარდგინებაში:

ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი,
უხვი, მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა მფლობელი,
ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი (313/311).

მეფე ფარსადანი სხვა დროსაც დაახასიათა ტარიელმა და ხატაელთა მეფისადმი მიწერილ წერილში მის შესახებ განაცხადა: „მეფე ინდოთა არისმცა ღმრთულებრ ძლიერი!“ (390/387). აქაც ფარსადანის ფიზიკურ სიძლიერეზე, უმეტესად გარეგნულ ფაქტორებზეა ყურადღება გამახვილებული, მაგრამ ისიც აღნიშნულია, რომ ყოველი სიკეთე ღვთისაგან აქვს მინიჭებული.

როსტევანისა და ფარსადანის დახასიათებათა შედარებისას ნათლად ჩანს მათი განსხვავებული სახეები, როსტევანში გონება და სამამაცო ზნენი შეზავებულია, ფარსადანში მხედრული მონაცემები, საბრძოლო გამოცდილება ჭარბობს.

როდესაც არაბეთისა და ინდოეთის მეფეთა – როსტევანისა და ფარსადანის იდეალურობაზე ვსაუბრობთ, საჭიროა ყურადღება მიექცეს შემდეგ გარემოებას: თითოეულ მათგანზე თხრობის დასაწყისშივე ავტორი მათ ყოველმხრივ მისაბაძ მეფეებად არ წარმოაჩენს; ისინი იდეალურნი არ არიან; როსტევანი მხოლოდ პოემის დასასრულს წარმოჩნდება იდეალურად, ხოლო ფარსადანის, როგორც მეფის, იდეალურობაზე საუბარი სრულიად ზედმეტია. რუსუდან ცანავამ საინტერესო პარალელი გაავლო ჰომეროსის „ილიადასა“ და შოთა რუსთველის პოემას შორის და აღნიშნა, რომ როსტევანსა და ფარსადანს საერთო ადამიანური ნაკლი აქვთ, ესაა მრისხანება (ცანავა, 2005: 237-238). არც როსტევანი, არც ფარსადანი არ არიან იმთავითვე იდეალურნი. მაგრამ როსტევანი ნაწარმოების დასასრულს ავთანდილის ქცევათა, ზნეთა შემფასებლად გვევლინება, – პოემის დასაწყისში ამას მოითხოვდა იგი არაბეთის მხედრთმთავრისაგან, – რაც იმას მიუთითებს, რომ იგი თავადაც იდეალად თანდათან ჩამოყალიბდა, რაშიც ახალ თაობას მიუძღვის წვლილი, სახელმწიფოს ახლებურ მოწყობას, ახლებურ იდეოლოგიას, საზოგადოებრივ ყოფასა და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ წეს-კანონებს ახალი თაობა განსაზღვრავს.

ჯერ **არაბეთის სამეფოსა და როსტევანის** შესახებ.

არაბეთი რომ საღვთო სიბრძნისა და მეცნიერების საუფლოა, ამას როსტევანის მოკლე დახასიათება, ვაზირებთან მისი საუბარი და თინათინის გამეფებისას ასულისათვის მიცემული ბრძნული დარიგება ადასტურებს. როსტევანი იშვიათი შეზავებაა ძველი და ახალი სიბრძნისა, ფაქტობრივად, იგი ახალ სიბრძნეს უყრის საფუძველს, იწყებს ახალ ერას. ზ. გამსახურდიას შეხედულებით, ნაწარმოების და-

საწყისში მასში მაინც ჯერ კიდევ ძველი, კოლექტიური ცნობიერებიდან მომდინარე სიბრძნე გამოსჭვივის (გამსახურდია, 1991: 256), ვინაიდან იგი ვაზირთა რჩევებს ემყარება. მეფე და ვაზირები, მიუხედავად მეფის დომინანტურობისა, მაინც ერთიანობაა, ერთი მთლიანობაა. მეფე ვაზირთა რჩევებს ითვალისწინებს, რაც იმ ძველ, კოლექტიურიდან ამოზრდილ ცნობიერებაზე მიგვითითებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინდოეთიც ამგვარივეა თავისი სახელმწიფოებრივი წყობით, კანონმდებლობით. ოღონდ ინდოეთის მეფე უფრო გამოკვეთილი იმპერიული თვისებებითაა აღჭურვილი, მკაცრად ჩამოყალიბებული ინდივიდია, რომელიც საკუთარ ნება-სურვილს ატარებს და სხვათა აზრს მხოლოდ ფორმალურად ისმენს.

არაბეთის მორჭმულმა და განგებიანმა მეფემ, ღმრთისაგან სვიანმა და განგებიანმა როსტევანმა, თავისი ერთადერთი ასული უნდა გაამეფოს, რაც განაცხადა ვაზირთა წინაშე საგანგებოდ მოწვეულ თათბირზე; მეფის სიტყვით, იგი უკვე მოხუცდა, „სიბერე სჭირს, ჭირთა უფრო ძნელია". საჭიროა ახალი მეფე; როსტევანმა ვაზირთა წინაშე კითხვა დასვა, რომელსაც თავადვე უპასუხა. ყოველივეს პირველმთქმელი თავად არაბეთის მეფეა: „გკითხავ საქმესა ერთგან სასაუბნაროსა" (36/35, 1). მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი ასულის გამეფება და განაცხადა კიდეც: „ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია" (37/36, 4), რაც იმას მოასწავებდა, რომ მეფემ, მართალია, კითხვა დასვა, მაგრამ კითხვაში პასუხიც იყო მოცემული.

როსტევანის მსგავსად, ვაზირებმაც აღიარეს თინათინის სამეფო უფლებები უკვდავი აფორიზმით და თანხმობა მისცეს:

„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია" (40/39).

ცხადია, სავაზირო ოდენ დეკორაციაა, ფორმალურია, ფაქტობრივი განმგებელი მეფეა. მაგრამ სავსებით ნათელია, რომ როსტევანი თავისი სიბრძნით, ინტუიციით, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საკითხისადმი დამოკიდებულებით, სიახლის შეგრძნებით გამორჩეული და სამართლიანი პიროვნებაა. თუ როსტევანსა და ინდოეთის მეფეს ფარსადანს ერთმანეთს შევადარებთ, როსტევანი ფარსადანს ბევრი თვისებით აღემატება, იგი თავად წყვეტს სახელმწიფოსათვის ესოდენ მნიშვნელოვან საკითხს – მომავალი მეფის

პრობლემას და სავსებით სამართლიანად აგვარებს მას. როგორია ეს გადაწყვეტილება? მისთვის მთავარი და უმნიშვნელოვანესია ასულის გამეფება, რათა ლეგიტიმიზმი არ დაირღვეს და მეფის ინსტიტუტი გაგრძელდეს, ქვეყანას ახალმა მეფემ უპატრონოს; ამიტომ როსტევანისათვის თავდაპირველი საზრუნავი არაა ასულის გათხოვება ან სასიძოს ძიება. ეს ისედაც მოგვარდება. მთავარი სახელმწიფოზე ზრუნვა და მისი სტრუქტურული მოწყობაა. ძველი მეფის ამგვარი ნაბიჯი სამყაროს ჰარმონიულობაზე ზრუნვისა და მოგვარების საწინდარი უნდა გახდეს. ამიტომ როსტევანის ქცევაში, მის სახელმწიფოებრივ მსოფლმხედველობაში რამდენიმე საფეხური იკვეთება.

როსტევანისა და თინათინის, როგორც მეფისა და მეფის მემკვიდრის, ხატ-სახეები საგანგებო დაკვირვებას მოითხოვს. საყურადღებოა ხელმწიფისა და ასულის ურთიერთობა მითოსურ, რელიგიურ და ლიტერატურულ ტრადიციებში, ვინაიდან მამისა და ასულის ურთიერთობის მოდელი ძველთაძველია, იგი მითოსიდან და ბიბლიური სწავლებიდან მომდინარეობს. ეს ურთიერთმიმართება მითოსში ორი მოდელით წარიმართება: 1. მეფე თავად თანხმდება ასულის გამეფებას და სასიძოსაც სახელმწიფოს შიგნით პოულობს, შესაბამისად, სამეფო ძალაუფლებას თავად გადასცემს ასულს და სასიძოს პოულობს; 2. მეფე თავის ასულს ტახტის მემკვიდრედ არ მიიჩნევს, შესაბამისად, არც ამეფებს, ასულის გათხოვებაზე ზრუნავს და სასიძოს სახელმწიფოს გარეთ ეძებს. იგი ვერ ეგუება ასულის გამეფებას, რადგან ძალაუფლებას კარგავს; ასულის გათხოვებითაც კარგავს იგი ძალაუფლებას, ვინაიდან სასიძო მისი სახელმწიფოს პოტენციური მფლობელია, ამიტომაც უმძიმს გადაწყვეტილების მიღება. „ვეფხისტყაოსანში“ ამგვარი მითოსური მოდელები ნაწილობრივ იკვეთება.

მამისა და ასულის ურთიერთობის პირველი მოდელი, რომელიც სამეფო ტახტის მემკვიდრეობით გადაცემას გულისხმობს, ნათლად ჩანს როსტევანისა და თინათინის მაგალითზე. მამამ თინათინს ლეგიტიმური პრინციპების მიხედვით გადასცა სამეფო ძალაუფლება იმ მოტივით, რომ „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“ (48/47, 3). თინათინი სიმბოლური და ალეგორიული თვალსაზრისით ბიბლიური ჩამომავლობისად უნდა მივიჩნიოთ, რასაც, ბიბლიურთან ერთად, ისტორიული ალუზიის ხასიათიც აქვს. „ვეფხისტყაოსანში“ ეს ბიბლიური იგავი-ალუზია პოლიტიკურ მეტაფორა-ალუზიად გარდაისახა, ბიბლიური სიბრძნე ირეკლება ინდოეთისა და არაბეთის

სამეფოთა მაგალითზე. შეიძლება ითქვას, თინათინის გამეფებით არაბეთში მშვიდობიანი დინასტიური ყოფა გრძელდება, ინდოეთში – არა და ირღვევა კიდეც სამეფო ტახტის კანონიერად გადაცემის წესი.

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“ ბიბლიური სიბრძნეა და მისი აღსრულება როსტევანის, როგორც მეფის, უპირველესი მოვალეობაა. როსტევან მეფე ახლადგამეფებულ ასულს არიგებს, როგორ მოიქცეს, რა უნდა გააკეთოს, რომ ღირსეული მეფე იყოს თავისი ქვეყნისა. პოემის ამ ეპიზოდში გადმოცემულია ის სიბრძნე, რომელიც მეფეს წინ უნდა გაუძღვეს თავის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. როსტევანის დარიგება მომავალი მეფის მოღვაწეობის პროგრამაა, რომლის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს მართვა და საზოგადოების ღვთაებრივი სამართლიანობის გზით ტარება. ცხადია, როსტევანს ეს სიბრძნე თავადაც წინაპართაგან აქვს მოსმენილი და თავის მემკვიდრესაც ამასვე ასწავლის, თინათინმაც მომავალში იგივე უნდა გააკეთოს და თავის მემკვიდრეს გადასცეს ღვთისაგან ბოძებული, მამისაგან თქმული სიბრძნე, რასაც ზემოთ დამოწმებული აფორისტული გამოთქმა გვასწავლის: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“, რომლის აღსრულებამ უნდა დაამშვიდოს და სულიერად გაზარდოს როსტევანი. მისივე სიტყვით: „ამისად ქმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამევსებოდა“ (48/47, 4).

დაისმის კითხვა, რატომ ტირის თინათინი, რა არის მისი ცრემლისა და მღელვარების საფუძველი? ჩანს, რომ ესაა სიახლის დამკვიდრების მოლოდინი არაბეთში, როგორც სახელმწიფოში. როგორი იქნება ეს სიახლე, ჯერ ცნობილი არაა, ჯერ არ იცის თინათინმა. მან იგი მამის სიტყვებში უნდა მოიძიოს, თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, თავად უნდა ეძიოს. ამიტომ გულდასმით ისმენს როსტევანის დარიგებას, რომ ტირილი არაა გამოსავალი, რომ დღეიდან მამისაგან არაბეთის მეფედაა სახელდებული, არაბეთის სამეფო ამიერიდან ღმერთმა მას არწმუნა, მისი მართვა-გამგეობა ღვთისაგან მას მიენდო. თინათინისადმი როსტევანის რჩევაა, იყოს „ბრძნად მქმნელი საქმისა“, „წყნარი და ცნობილი!“ უფროსი მეფის, ძველი თაობის მეფის რჩევა-დარიგება ემყარება ბიბლიურ-ევანგელურ და ხანგრძლივი სულიერი გამოცდილების შედეგად მოპოვებულ სიბრძნეს:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების!

უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების.
მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია;
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია;
სმა-ჭამა – დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!
რასაცა გასცემ, შენია; რაც არა, დაკარგულია!" (50/49 – 51/50).

როსტევანის რჩევებს თინათინი ბრძნულად ისმენს და შეისმენს, რის აღსრულებასაც დარიგების მოსმენისთანავე იწყებს და გასცემს წყალობას. მეფე კი, ასულის საქციელით კმაყოფილი, „სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილხინებდა" (52/51, 3). მიუხედავად იმისა, რომ არაბეთში ყველაფერი წესისამებრ მიემართება და ჰარმონიულობა სუფევს, ეს საკმარისი პირობა არაა სამეფოს სრულყოფილებისათვის, რაც პოემის მოქმედების მსვლელობისას მალე გამოჩნდა კიდეც. უწინარეს ყოვლისა, როსტევანმა თინათინის გამეფებასთან დაკავშირებით გადაწყვიტა ნადიმის გადახდა, რომელზეც მან საზეიმოდ მთელ არაბეთს მოუხმო და უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მაგრამ ამ ნადიმზე თვითონ მეფემ მოიწყინა, რაც ავთანდილმა და ვაზირმა სოგრატმა მყისვე შენიშნეს; მათ გადაწყვიტეს მეფესთან მისვლა და მოწყენის მიზეზის შეტყობა, მაგრამ პირდაპირ კითხვის დასმას მოერიდნენ და ლაღობა-ხუმრობის ხერხს მიმართეს. ვაზირი ხუმრობით შეეხმიანა მეფის „დაღრეჯილობას" და იგი თინათინის მიერ საგანძურის უხვად გაცემით ახსნა. ცხადია, როსტევანი ძლევამოსილი და ხელგაშლილი მეფეა, მისთვის უცხოა სიძუნწე, ხელმოჭერილობა, ამიტომ ვაზირის მიერ მისი მოწყენის მიზეზის ამგვარმა კვალიფიკაციამ გააკვირვა და ვაზირს მიმართა:

„ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტყუის, ვინცა დაიყბედნა! (62/61, 4).
ეგე არ მიმძიმს, ვაზირო, ესეა, რომე მწყენია:
სიბერე მახლავს, დავლიენ სიყმაწვილისა დღენია,
კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია,
რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია.
ერთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა;
ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, – ვარ საწუთროსა თმობითა,–
ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა მობურთლობითა;
ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა" (63/62 – 64/63).

როსტევანის განაცხადმა ავთანდილი და ვაზირი დაარწმუნა იმაში, რომ მისი მოწყენილობის მიზეზი სხვა რამ ყოფილა; მეფის სიტყვებში

შეფარვით სასიძოს ძიების პრობლემა შეიგრძნობა; მართალია, ახალი მეფე ლეგიტიმური გზით სამეფო ტახტზე ავიდა, მაგრამ ახალი მეფე ქალია, რაც იმას ნიშნავს, რომ „სამამაცო ზნეთა“ მფლობელი არაა და, ცხადია, სარდლობას//მხედართმთავრობას ვერ გასწევს, არადა, სახელმწიფოს სჭირდება სწორედ ამგვარი პიროვნება, რომლის მიმსგავსებულადაც როსტევანს ავთანდილი მიაჩნია. არაბეთის სპასპეტმა მორიდებით გაიღიმა, ხოლო ამ ღიმილმა იგი არა მხოლოდ გარეგნულად დაამშვენა, არამედ ავთანდილის თვისებები და ხასიათი წარმოაჩინა, რითაც მეფეს აგრძნობინა, რომ მისი ნათქვამი არ იყო მართალი. ავთანდილის ღიმილ-სიცილი და მორიდებული პასუხი პატრონისადმი მოკრძალების გამოხატულებაა, რაც ავთანდილს ღირსებას ჰმატებს, რადგან მან თავისი სტატუსის შესაბამისი ადგილი ძალიან კარგად იცის, თუმცა, როცა საქმე ვაჟკაცობასა და ასპარეზობას შეეხება, იგი უკომპრომისოა. მიუხედავად ამისა, სიმართლის თქმის გაბედვისათვის მეფისგან ხელშეუხებლობის გარანტია ითხოვა. როსტევანის შეპასუხების შემდეგ ავთანდილმა უკვე აშკარად განაცხადა, რომ პრობლემა მხოლოდ ასპარეზობაში შეჯიბრით შეიძლება გადაწყდეს. მეფემ თინათინის მზე დაიფიცა, რომ არ დასჯიდა ავთანდილს, რომელმაც მხოლოდ ამის შემდეგ გაუბედა ასპარეზობასა და ნადირობაში გაჯიბრება:

„ნუ მოჰკვეხ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა.
მიწაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია;
ნაძლევი დავდვათ, მოვასხნეთ მოწმად თქვენნივე ყმანია;
მოასპარეზედ ვინ მგავსო? – ცუდნიღა უკუთქმანია.
გარდამწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანია!“ (67/66, 4; 68/67).

როსტევანმა თავისი აღზრდილი სპასპეტის გამოწვევა მიიღო და ხუმრობით შეთავაზებული შეჯიბრიც გადაწყდა. ნაძლევიც დადეს, რომელიც იუმორითაცაა გაზავებული და იმდროინდელი სამეფო კარის საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებათა ღრმა ცოდნაც შეინიშნება//წარმოჩნდება: „ვინცა იყოს უარესი, თავშიშველი სამ დღე ვლიდეს“ (70/69, 4). ნადირობა დილაადრიან დაიწყო, მეფე და ავთანდილი ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, რომ თვითონ ჯობდა. და ბოლოს, როდესაც მსახურებმა მოახსენეს ნადირობის შედეგი, „ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია“ (82/81, 2), როსტევანმა სიხარულით მიიღო ეს ცნობა, თავისი აღზრდილის გამარჯვება უხაროდა. ეს ის იშვიათი თვისებაა, რასაც სხვისი წარმატებით გახარება ჰქვია, მაგრამ „სხვა“ ამ შემთხვევაში ავთანდილია, მეფის აღზრდილი, როსტევანი

ჯერ არას ამბობს, მაგრამ უკვე იცის, რომ ავთანდილი მისი სასიძოა. როსტევანმა თავისი აღზრდილი ავთანდილი ღირსეულად შეაფასა, ფაქტობრივად, მასში დაინახა არაბეთის სახელმწიფოს მომავალი დამცველი, მხედართმთავარი, პატრონი, და ბოლოს – სასიძო. მიუხედავად იმისა, რომ ავთანდილი სამეფო საგვარეულოს არ ეკუთვნის, როსტევანი თავის ქვეყანაში პოულობს სასიძოს. ძველი მეფე დარწმუნდა, რომ თინათინს ღირსეული მიჯნური ჰყავს, თუმცა, მათი მიჯნურობის შესახებ ან არაფერი იცის, ან არაფერს ამბობს. შოთა რუსთველი ავთანდილს მიიჩნევს როსტევანისათვის სასურველ, საყვარელ ადამიანად და მათი პატრონყმური და მამაშვილური ურთიერთობის შესახებ ამბობს: „აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა“ (83/82, 3). მართალია, ავთანდილისა და თინათინის ქორწინება უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ, ერთი მხრივ, თინათინ-ავთანდილის სიყვარული უნდა გამოიცადოს, მეორე მხრივ, თვით ავთანდილმა უნდა დაამტკიცოს, რომ იგი ღირსეული პიროვნებაა, ღმრთივგანბრძნობილი თინათინის შესაფერისია, რისთვისაც დროსა და სივრცეში მისი გამოცდაა საჭირო და აუცილებელი.

როსტევანი ავთანდილის ღირსებებს მაშინაც აღნიშნავს და აფასებს, როდესაც ავთანდილი თინათინის დავალებით უნდა წასულიყო უცხო მოყმის საძებრად. თუმცა, მეფეს ავთანდილის წასვლის ნამდვილი მიზეზი არ უნდა სცოდნოდა. ავთანდილმა წასვლის წინ მეფესთან გამოთხოვება და სამი წლით განშორების შესახებ საუბარი გადაწყვიტა, როსტევანმა ავთანდილის გადაწყვეტილებაში გმირული საქციელი და ერთგულება დაინახა, რაც ეჯიბთან საუბარში გამოამჟღავნა: „...ლომო, არა გჭირს შენ ომთა გამდრეკელობა, ან მაგა შენსა თათბირსა ჰგავსო შენივე ქველობა. წა, მაგრა მომხვდეს, რაღა ვქმნა, თუ სიშორისა გრძელობა!“ (145/144, 2-4). მეფე გულით გამოეთხოვა შვილივით გამოზრდილ ავთანდილს და გზა დაულოცა:

„მეფე ყელსა მოეხვია, გარდაკოცნა ვითა შვილი.

სხვა მათებრი არ ყოფილა არ გამზრდელი, არ გაზრდილი!

როსტან მისთვის აატირა გონიერი გული, ლბილი“ (147/146, 1-2, 4).

შოთა რუსთველმა კიდევ ერთხელ საგანგებოდ აღნიშნა როსტევანისა და ავთანდილის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რომ მათი მსგავსი გამზრდელი და გაზრდილი სხვა არავინ ყოფილა, როს-

ტევანის სიბრძნისა და გრძნობის ერთიანობის, შერწყმულობის გამოსახატავად ბიბლიური სოლომონისეული გამოთქმაც გამოიყენა – „გული გონიერი“.

არაბეთის სამეფოში ყოველმხრივი სიხარულისა და ბედნიერების ჟამს გამოჩენილმა უცხო მოყმემ არაბეთის სახელმწიფოში არსებული ჰარმონიულობა დაარღვია, არაბთა ცხოვრებაში დისონანსი შეიტანა; მისი ამბის შეტყობის აუცილებლობა და საჭიროება შეიქმნა, რადგან არაბეთში იციან ვეფხისტყაოსნობის მნიშვნელობა. ტარიელის ვეფხისტყაოსნობა ვინაობის დასამალად და დროებით შესანიღბად ისევე სიმბოლურად აღსაქმელია, როგორც გულანშაროში ვაჭრულად გადაცმული ავთანდილის შესვლაა გასააზრებელი. ვეფხისტყაოსანი რაინდის გამოჩენა არაბეთში ბედნიერებისა და სრული ჰარმონიულობის პირობებში კონცეპტუალურია, რათა არაბეთის ახალგაზრდა მეფემ, ბრძნულად განსწავლულმა და ღმრთივგანბრძნობილმა თინათინმა ცხოვრებისეული გამოცდილება შეიძინოს, საღვთო სიბრძნით განსრულდეს, აგრეთვე, თინათინისა და ავთანდილის სიყვარული გამოიცადოს, ავთანდილმაც უნდა შეიძინოს გამოცდილება, მან უნდა დაამტკიცოს, რომ იგი თინათინის ღირსი და შესაფერისია, რაც მოყვასისათვის გარჯით უნდა გამოხატოს; რაც მთავარია, როსტევანი, თინათინი და ავთანდილი ზნეობრივად უფრო სრულყოფილნი უნდა გახდნენ, შინაგანად გამთლიანდნენ.

ამიტომ სწორედ არაბეთი უნდა შეეცადოს უცხო, ვეფხისტყაოსანი მოყმის ამბისა და მისი მწუხარების მიზეზის შეტყობას, უნდა მიაგნოს უცხო მოყმის ვეფხის ტყავის სამოსლისაგან განძარცვის შესაძლებლობას. უცხო მოყმის უეცარი გამოჩენითა და ასევე უეცარი გაუჩინარებით როსტევან მეფემ ძლიერ მოიწყინა, მიატოვა სანადირო ასპარეზი და სასახლეში დაბრუნდა, სადაც მხოლოდ ავთანდილი იახლა. მასთან შესვლა ვერავინ გაბედა, მის დარბაზთან მისულმა თინათინმაც დროებით გაცლა ამჯობინა, სანამ თვითონ მეფე არ უხმობდა. თინათინის მხრივ ეს რიდი უფროსისადმი დამოკიდებულების, მის მიმართ მოკრძალების გამოხატულებაა. ეს უფროსი კი არაბეთის მეფეა! თინათინმა იცის, რომ განრისხებისა და მოწყენილობის ჟამს როსტევანს არავისთან საუბარი და შეხვედრა არ სურს. ამიტომ მამის ხმობამდე მასთან შესვლაზე თავი შეიკავა. ბოლოს თვითონ როსტევან მეფემ მოიკითხა თავისი ასული და იხმო, თინათინს თავისი მოწყენისა და დაღვრემის მიზეზი აუწყა, ვეფხისტყაოსანი უცხო მოყმის გამოჩენისა და გაუჩინარების

საკვირველი ამბავი უამბო, რითაც როსტევანის ფსიქოლოგიური პორტრეტი და მდგომარეობა დაიხატა, ერთი მხრივ, ნებიერი მეფისა, რომლისთვისაც მიუღწეველი არაფერია, მეორე მხრივ, შეურაცხყოფილი მეფისა, რომლის სიტყვას უცხო მოყმე, როგორც ჩაცმულობა-აღკაზმულობიდან ჩანდა, დიდებული ჩამომავლობისა, არ დაემორჩილა:

„უცხოსა და საკვირველსა ყმასა რასმე გარდვეკიდე,
მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე,
რა უმძიმდა, არ ვიცოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე;
ჩემად ნახვად არ მოვიდა, გავგულისდი, წავეკიდე.
მე რა მნახა, ცხენსა შეჯდა, თვალთა ცრემლნი მოიხოცნა,
შესაპყრობად შევუზახენ, სრულად სპანი დამიხოცნა,
ვითა ეშმა დამეკარგა, არ კაცურად გარდამკოცნა,
ჯერთცა ესე არა ვიცი, ცხადი იყო თუ მეოცნა“ (110/109 – 111/110).

არაბეთში, მის სივრცეში, როსტევანის, თინათინისა და ავთანდილის შიდასამყაროში გარესამყარო შეიჭრა თავისი დიდი საფიქრალ-სადარდელით, პრობლემებით. როსტევანს, ბრძენსა და ყოვლისმცოდნე მეფეს, ეეჭვება კიდეც, ნანახი უცხო მოყმე ხორციელი იყო თუ მოჩვენება ან ეშმაკი, რასაც კიდევ ერთხელ აღნიშნავს: „კაცთა ხორცისად ვით ითქმის ისრე თვალთაგან ფარული?!“ (112/111, 3)

საგონებელში ჩავარდნილი როსტევანი, როგორც ადამიანური სიბრძნისა და მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე მეფე, ცდილობს ამქვეყნიური ემპირიული სინამდვილისა და ტრანსცენდენტურის ურთიერთმიმართებათა გარკვევას, რაც მის გონებრივ შესაძლებლობებს აღემატება. განა შესაძლებელია ადამიანის თვალისათვის ფარული რამ ხორციელ ადამიანად იქნეს მიჩნეული და აღქმული? ე. ი. ძველი სიბრძნე მიფარულს ვერ სწვდება, მას ახალი სიბრძნე (თინათინი) უნდა მისწვდეს. ამიტომ უცხო მოყმის ვინაობის დადგენასა და ძებნაში ჩაერთვება როსტევანის ღმრთივგანბრძნობილი ასული თინათინი, რომელიც შექმნილ ვითარებას აფასებს და ცდილობს გამოსავალი მოძებნოს. ბრძენთა და მამისაგან განსწავლული თინათინი დადარდიანებულ, დანაღვლიანებულ მამას ამშვიდებს, რომ ღმერთისა და ბედის მდურვა სიკეთეს ვერ მოიტანს, მით უფრო, რომ კეთილის შემოქმედი ღმერთი ბოროტს არ შექმნიდა,

რაც არეოპაგიტულ მოძღვრებას ასახავს კეთილის არსობისა და ბოროტების უარსობის, ე.ი. ღმერთის მიერ ბოროტის დაუბადებლობის, შეუქმნელობის შესახებ; თუ ბოროტება არსებობს, იგი მხოლოდ წუთისოფლისეულია, სოფლისაგან მომდინარეა, იგი არაა ღვთის ნებისაგან მომდინარე, ანუ განგებისმიერი: „ჰე მეფეო, რად ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა? რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა? ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?!“ (114/113, 2-4). ამიტომ თინათინი როსტევანს უცხო მოყმის მოძებნას ურჩევს, რათა შეიცნოს, „არის იგი ყმა შობილი, თუ უშობელი“ (115/114, 4). თინათინის სიტყვები მისი საღვთო სიბრძნით განსწავლულობის, ღვთივგანბრძნობილობის გამოვლინებაა, რაც მისი, როგორც ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, პოემის სიუჟეტის ძირითადი მამოძრავებელი პერსონაჟის, მხატვრულ ფუნქციას მიუთითებს.

უცხო მოყმის ძებნამ პირველი ცდისას შედეგი ვერ მოიტანა, მეფის მიერ დაგზავნილმა მსახურებმა მის გზა-კვალს ვერ მიაგნეს, ვერაფერი შეიტყვეს მის შესახებ; ერთი წლის უშედეგო ძებნიდან მათი დაბრუნების შემდეგ როსტევანმაც დაიჯერა, რომ უცხო მოყმე რეალური პიროვნება არ უნდა ყოფილიყო და მან ნახა „რამე ეშმაკისა სიცუდე და სიბილწეო, ჩემად მტერად წამოსრული გარდმოჭრილი ზეცით ზეო“ (119/118, 2-3), რის შემდეგაც კვლავ ძველებური უჭირველი ცხოვრება განაგრძო, კვლავ სილაღეს მიეცა. აქ დასრულდა როსტევანის ძიება უცხო მოყმისა, რადგან იგი მას აღიქვამს ზეციდან გადმოჭრილ ეშმაკეულ ძალად. მიუხედავად იმისა, რომ იგი მეფის იდეალად არის წარმოჩენილი, ფაქტობრივად, ძველი მეფე მაინც ვერ მისწვდა ღვთაებრივ სიბრძნეს. ახალი მეფეა საჭირო, ახალი თაობის წარმომადგენელი მეფე, რათა ღვთაებრივი სიბრძნის წვდომა შეძლოს. უცხო მოყმის საძებრად ამიტომაც გაგზავნა თინათინმა ავთანდილი, რომელსაც, როგორც ჩანს, თავადაც არ აწუხებს უცხო მოყმის პრობლემა.

როსტევანმა ავთანდილისადმი მამაშვილური დამოკიდებულება მაშინაც გამოამჟღავნა, როდესაც ავთანდილი არაბეთიდან გაიპარა მას შემდეგ, რაც ტარიელის დასახმარებლად წასვლის ნებართვა არ მისცა. დარბაზს შესულ ვაზირისათვის როსტევანის მიერ მიცემული კითხვა მეტაფორულად მიუთითებს ავთანდილისადმი მეფის დამოკიდებულებას, სიყვარულს, ღირსების შეგრძნებას: „წასრულა მზე დაუდგრომლად, მთვარულად?“ (822/820, 2). ვაზირის პასუხის

შემდეგ – „მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად!“ (822/820, 4) – ქვეშევრდომის, გაზრდილის გაპარვით გამოწვეული მეფე-პატრონის, მეფე-აღმზრდელის ტირილი და მოთქმა იშვიათ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე, მასში როსტევანის ეჭვი და გულისტკივილი გამოსჭვივის იმის თაობაზე, რომ იგი მოხუცია და ვაითუ ვეღარ მოესწროს თავისი აღზრდილი ავთანდილის ნახვას: „ვა, გაზრდილო, ვეღარ გნახვენ თვალნი რეტნი!“ (823/821, 3). როსტევანის წუხილი და ტირილი არაბეთზე ზრუნვითაცაა გამოწვეული, რადგან თინათინთან ერთად სწორედ ავთანდილი წარმოუდგენია არაბეთის მხედართმთავრად და მმართველად. იგი ავთანდილის მომავალზეც წუხს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად იცის, მას მისივე „მშვილდი დაარჩენს, მისთა ისართა პირები“; მეფის მისი საწუხარი ისაა, „თუ მოვკვდე, გაზრდილო, ვისგანღა დავიტირები?“ (824/822). როსტევანს რომ ავთანდილი ეგულება არაბეთის პატრონად, ავთანდილის გაპარვის ამბის გაგებისას მეფის მიერ წარმოთქმული სიტყვები აშკარად გამოხატავს:

„თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები,
მაგრა მე რა ვქმნა, გაზრდილო, აწ სახლად მმართებს სენები!
გამაღარიბე, დამაგდე, გულსა, გლახ, ვისთვის ენები?
შენად შეყრამდის პატიჟთა ჩემთა ვერ იტყვის ენები!
ოდეს გნახავ მხიარულსა ნადირობით შემოსრულსა?
ვეღარ გიჭვრეტ ნაბურთალსა, ტანსა მჭევრსა, ჯავარ-სრულსა.
ვეღარ ვისმენ ხმასა შენსა, სასმენელად მე მას რულსა“ (824/822 – 825/823).

მაგრამ მეფის განსაკუთრებული საწუხარი ისაა, რომ სახელმწიფოს სჭირდება ავთანდილის მკლავი და ხმალი, მისი იმედი ავთანდილია: „აწ უშენოდ, გლახ, რა ვუყო საჯდომსა და სრასა სრულსა?“ (825/823, 4). ეს სიტყვები კი იმას მოწმობს, რომ როსტევანის შინაგან სამყაროში კიდევ ბევრი რამ შეიცვალა, იგი საბოლოოდ დარწმუნდა ავთანდილის ღირსებებში და ამიტომაც ამახვილებს ყურადღებას „საჯდომსა და სრასა სრულზე“, რაც სამეფო ატრიბუტიკის შემადგენელი ნაწილია. როსტევანი ლოცულობს, რომ ღმერთი ავთანდილის მიმართ მოწყალე იყოს, რათა „ღმერთმან წყალობით გაგიადვილოს ჭირები“ (826/824, 3); როსტევანთან ერთად არაბეთის დიდებულები და მთელი მოსახლეობა, განსაკუთრებით ჯარი, განიცდის ავთანდილის გაპარვას და მეფეს თანაუგრძნობს: „ბნელი გვმართებს დღე-კრულთა, რათგან მზე

მიგვიდრკა ცისა!“ (827/825, 4). შერმადინის მიერ გადაცემული ავთანდილის ანდერძის წაკითხვის შემდეგ მეფემ ბრძანება გასცა, რომ მთელ სახელმწიფოში ილოცონ ავთანდილისთვის: „... მხიარულსა ნუ ჩაიცმენ ჩემნი სპანი, ვამლოცველნეთ დავრდომილნი, ობოლნი და ქვრივნი სხვანი, შევეწივნეთ, მშვიდობისა ნუთუ მისცნეს ღმერთმან გზანი!“ (831/829, 2-4). როსტევანის ამგვარი მსჯელობა ავთანდილის ანდერძის შედეგია, ანდერძით გამოხატული სიბრძნის შედეგია. როსტევანის ხატ-სახეს ამშვენებს ავთანდილისადმი მამბორივი დამოკიდებულება და მზრუნველობა, ავთანდილის ანდერძმა კი იგი სულიერად გაზარდა, გაწვრთნა, ღვთაებრივ სიბრძნეს აზიარა.

ნაწარმოების დასასრულს კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა როსტევანის რეალურად ბრძნული სახე და საღვთო სიბრძნის განხორციელების გზა არაბეთის სამეფოში. ქაჯეთის ციხის აღებისა და ნესტან-დარეჯანის გამოხსნის შემდეგ ტარიელის ინიციატივით „ვეფხისტყაოსნის“ გმირები არაბეთისაკენ გაეშურნენ; ტარიელმა ბოდიშის მოხდის მიზნით ნადირობის შემდეგ თორმეტი მონის დახოცვის გამო როსტევანთან შეხვედრა გადაწყვიტა, აგრეთვე, თინათინისა და ავთანდილის ქორწინების მოგვარება ჰქონდა მიზნად დასახული. როსტევანი ტარიელთან შეხვედრისას გამოჩნდა როგორც შემფასებელი ყოველივე იმისა, რაც პოემაში გადმოიცა, ერთი მხრივ, ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის, მეორე მხრივ, თინათინისა და ავთანდილის ამბებით, კერძოდ მათი სიყვარულით. აქ განსაკუთრებული ადგილი ავთანდილის შეფასებას ენიჭება, რადგან მეფე თავის აღზრდილ სპასპეტს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „შენ ზნენი გამოგჩენიან“. თუ როსტევანი პოემის დასაწყისში არაბეთის პირველი რაინდისაგან „სამამაცო ზნეთა“ ფლობას მოითხოვდა, პოემის დასასრულს ზნეთათვის ეპითეტი არ ეძებნება, რადგან ის, რაც ავთანდილმა შეძლო და აღასრულა, ყოველგვარ ეპითეტს აღემატება.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, არც როსტევანი, არც ფარსადანი იმთავითვე იდეალურნი არ არიან. ფარსადანი იდეალურობისაგან შორს იდგა და ასეთადაც დარჩა. მაგრამ რადგან როსტევანი ნაწარმოების დასასრულს შემფასებლად მოგვევლინა, ეს იმას მიუთითებს, რომ იგი იდეალად თანდათან, პოემის მოქმედების პროცესში ჩამოყალიბდა, რაშიც ახალ თაობას მიუძღვის წვლილი, ახალი თაობაა ზნეობრივი პრინციპებისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის ახალი მეთოდების განმსაზღვრელი. იგი ახალი თაობის ქცევამ

სულიერად გაზარდა და აამაღლა, მორალურად უფრო ძლიერ პიროვნებად ჩამოაყალიბა. „ვეფხისტყაოსნის“ მეფეთა შორის როსტევანი ყველაზე პროგრესულად მოაზროვნე და სულიერად მზარდი პიროვნებაა, რის გამოც, როგორც ჩანს, პოემის დასასრულს სწორედ მას დაეკისრა მთავარ პერსონაჟთა ობიექტური შემფასებლის მისია და როგორც პერსონაჟის, მხატვრული ფუნქციაც ესაა.

ახლა ფარსადანის შესახებ

ფარსადანის ხატ-სახე ძლიერი და საბრძოლო საქმით გამორჩეული მეფის თვისებებით ხასიათდება. როსტევანთან შედარებით, მისი სახის წარდგენისას მკითხველის წინაშე შოთა რუსთველი უმეტესად ყურადღებას გარეგნობასა და მებრძოლ ბუნებაზე ამახვილებს, არც ადამიანისათვის არცთუ სასურველ მის თვისებას ფარავს, რომელიც მხოლოდ ერთი სიტყვითაა მონიშნული: „უკადრი“, რაც მეფის ამპარტავნებას მოწმობს. როსტევანის ეპითეტებსა და მეატფორებშია ამგვარი სიტყვა არ შეინიშნება, რაც მათ ერთმანეთისგან მკვეთრად განასხვავებს. ფაქტობრივად, ფარსადანი შეუვალი იმპერატორის ტიპად არის წარმოსახული.

ინდოეთის სამეფოს შედგენილობა შვიდი სამეფოსაგან საქართველოს სამეფოსთან ანალოგს პოულობს, რადგან XII საუკუნის საქართველოს მეფეთა ტიტულატურა შვიდ კომპონენტს გულისხმობდა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა, რანთა, ჰერთა, შაჰანშა და შაჰინშა“, ეს ორი უკანასკნელი გვიან მოპოვებული ტიტულები იყო. საგანგებო განხილვას მოითხოვს ინდოეთის შვიდი სამეფოს მეტაფორულობისა და სიმბოლურობის საკითხი. ინდოეთში შვიდი სამეფოს არსებობა უძველეს მისტერიას ასახავს, რასაც საფუძვლად უდევს მითოსური, ისტორიული და ლიტერატურული მონაცემები ქვეყნის შვიდი სამეფოსაგან შედგენილობის შესახებ. ამ მოდელს შეესაბამება შვიდი სამეფოსაგან შედგენილი ინდოეთის სამეფოც. ამ მოდელში ქრისტიანული მსოფლმხედველობა და საქართველოს ისტორიული სინამდვილე იკითხება. მასში ღრმა და ფარული ცოდნაა კოდირებული, საიდუმლო მეტაინფორმაციას შეიცავს, რაც, ერთი მხრივ, რიცხვთა სიმბოლიკას, მეორე მხრივ, ენიგმატურ ხელოვნებას უკავშირდება.

„ვეფხისტყაოსანში“ ბიბლიური და საქართველოს ისტორიის იდეოლოგიური მიმართულება ერთდროულად აისახა, რადგან ინდოე-

თის სამეფოში სამეფო საგვარეულოს პირდაპირი შტოს წარმომადგენელია ფარსადანი და გვერდითი შტოს – სარიდანი. ფარსადანი უპირატესია სარიდანთან შედარებით. საინტერესოა, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში ბიბლიური იაკობის ძე იუდა და მისი შთამომავლები სამეფო საგვარეულოს პირდაპირი შტოს წინასახედ, იოსები და მისი მემკვიდრე ეფრემი კი გვერდითი შტოს წინასახედ მოიაზრებიან. იუდა და მისი შორეული მემკვიდრე დავით წინასწარმეტყველი საქართველოში ქართველ ბაგრატიონთა პირდაპირი შტოს წინაპრად დასახეს, ხოლო მისი ძმისწული ეფრემი – ოსეთის ბაგრატიონებისა. საისტორიო თხზულებების მიხედვით, თამარ მეფე არის გიორგი პირველის პირდაპირი ჩამომავალი, დავით სოსლანი გვერდით შტოს წარმოადგენს. ანონიმი ავტორი „ისტორიანსა და აზმანში შარავანდედთანი“ აღიარებს, რომ თამარ მეფე არის დავით წინასწარმეტყველის ჩამომავალი, დავით სოსლანი – იოსებისა, რომლის შვილია ეფრემი და სწორედ ამ უკანასკნელის ჩამომავლად მიიჩნევს ისტორიკოსი თამარის მეუღლეს (კეკელიძე, 1956: 317-318).

ეს ბიბლიური და XII საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოს ისტორიის ჰიპოდიგმა „ვეფხისტყაოსანშიცაა“ პარადიგმულად ასახული ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის მაგალითზე. ნესტან-დარეჯანი სამეფო საგვარეულოს პირდაპირი შტოს ჩამომავალია, ტარიელი – ინდოეთის სამეფო დინასტიის გვერდითი შტოს წარმომადგენელია, ალეგორიულად, ბიბლიის მიხედვით, იგი იოსებისა და ეფრემის შთამომავალია. იოსები მამამ – იაკობმა თავად ჩააგდო საფრთხეში. ტარიელიც ჯერ მამის, შემდეგ მამობილის გადაწყვეტილების შედეგად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

„ვეფხისტყაოსანში“ ინდოეთის სამეფო ტახტის პრობლემა, არაბეთისაგან განსხვავებით, იმთავითვე მოუწესრიგებლად არის წარმოჩენილი. მეფე ფარსადანს, სამეფო საგვარეულოს პირდაპირი შტოს წარმომადგენელს, შვილი არ ჰყავს; სარიდანის მიერ მეშვიდე სამეფოს ექვსი სამეფოსათვის შეერთების შემდეგ ფარსადანმა გადაწყვიტა ტარიელის შვილად აყვანა, რომელიც მამის ამირბარობისას არის დაბადებული. მაგრამ ეს გადაწყვეტილება საბოლოო არ აღმოჩნდა, რადგან ტარიელის შვილად აყვანიდან ხუთი წლის შემდეგ მეფეს ასული შეეძინა და თავის კანონიერ მემკვიდრედ მიიჩნია. საინტერესო ისაა, რომ ფარსადანმა ტარიელი მამას დაუბრუნა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტარიელს გამეფების პერსპექტივა აღარ აქვს, სამეფო ტახტის მემკვიდრის სტატუსი აღარ აქვს.

ამრიგად, ინდოეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე ნესტან-დარეჯანია, შესაბამისად, ნესტანის ქმარი სამეფოს ფაქტობრივი გამგებელი და პატრონი გახდება, მაგრამ მეფე – არა.

ფარსადანმა მძიმედ განიცადა სარიდანის გარდაცვალება, გამოიტირა იგი და მის ნაცვლად მისსავე ძეს, თავის შვილობილს ტარიელს უბოძა ამირბარობისა და ამირსპასალარობის მამისეული სახელო, რაც ტარიელს მეფის ახლოს ყოფნას ავალდებულებდა.

ნესტან-დარეჯანის დავალებით ტარიელი, უკვე ინდოეთის ამირბარი და ამირსპასალარი განდგომილი ხატაეთის წინააღმდეგ საომრად ემზადება. ცხადია, სახელმწიფო ომს მეფის გარეშე ვერ დაიწყებს, მაგრამ ხატაეთში წარმოებულ ომთან დაკავშირებით ტარიელი ფარსადანს არსად ახსენებს; იგი მხოლოდ ომში გამარჯვების შემდეგ იხსენიება, როდესაც ინდოეთის მეფემ, ფარსადანმა ომგადახდილი, გამარჯვებული და უკვე სახელმოხვეჭილი ტარიელის ომიდან დაბრუნების აღსანიშნავად საგანგებო ნადიმი გამართა. სწორედ ამ ნადიმმა გადაწყვიტა ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის მომავალი.

ფარსადანი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ერთად ყოფნის მოწმე ორჯერ გახდა: 1. პირველად მაშინ, როდესაც ინდოთ მეფე და ამირბარი ნადირობიდან ერთად მივიდნენ ნესტან-დარეჯანის სასახლეში. მეფე ასულთან შევიდა, ხოლო ტარიელი კარებთან დარჩა. ეს არ იყო ტარიელისა და ნესტანის პირისპირ შეყრა, ამას შეხვედრა არ ჰქვია. ნანადირევი დურაჯების გამოსართმევად მეფისაგან გაგზავნილი ასმათის მიერ ფარდაგის გადაწევისას ტარიელმა თვალისმომჭრელი სილამაზის ქალი, ნესტან-დარეჯანი დაინახა, ასმათისათვის დურაჯების გადაცემა ძლივს მოახერხა და გულიც წაუვიდა. ესაა პოეტის მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხი, ადამიანის ფსიქიკის მცოდნე და რთულ სიტუაციებში ორიენტირების უნარის მქონე ფარსადანი მაშინვე უნდა მიმხვდარიყო, რაც დაემართა ტარიელს. მიხვდა კიდეც და ამის ცოდნა მოგვიანებით გამოამჟღავნა; 2. მეორედ ფარსადანმა ნესტან-დარეჯანი და ტარიელი ერთად ნახა ხატაეთის ომში გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ ნადიმზე, რომელზეც მეფისაგან „სამეფოდ სახელდებული“ ნესტან-დარეჯანი პირველად გამოიყვანეს საჯაროდ.